ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების

კ ო ნ ც ე ფ ც ი ა

ფაკულტეტის ჩამოყალიბებიდან გავიდა 19 წელი. ამ ხნის განმავლობაში ბევრი კარგი და მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალის, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციების ხელშეწყობით. დღეისათვის არსებული რეალობიდან გამომდინარე, უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში ფაკულტეტის განვითარებისათვის მიზანშეწონილია ძირითადად ვიმუშაო შემდეგი მიმართულებებით:

1. მიმაჩნია, რომ მეცნიერების საუკეთესო გამოყენებაა განათლება. ამისათვის საჭიროა მეცნიერული კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირება და სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური გარემოს შექმნა.

2. საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელება, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილიზება. ამით საგრძნობლად გაიზრდება ჩვენი ფაკულტეტის დიპლომის პრესტიჟი, რაც სამომავლოდ გარანტიაა ნიჭიერი სტუდენტების მოზიდვისათვის.

3. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება საზღვარგარეთული გამოცდილების გაზიარებით (მაგალითად, როგორიცაა 2013-2015 წლებში დაწყებული ამერიკის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამები).

4. სავარაუდოდ, თსუ-ში მიმდინარე წელსვე ასისტენტის აკადემიურ პოზიციაზე 200-მდე ვაკანია გამოცხადდა, რადგან, დღესდღეობით ყველანაირი საერთაშორისო სარეიტინგო მახასიათებლებით ჩვენი ფაკულტეტი უპირობო ლიდერია საქართველოში და კავკასიის რეგიონში, ხოლო რიგი მიმართულებებით-ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის, ხსენებული საკითხი ჩვენს ფაკულტეტსაც არსებითად შეეხება. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და თსუ-ს წესდების მიხედვით ასისტენტის აკადემიურ პოზიციაზე შესაძლებელია არჩეულ იქნას დოქტორანტი 4 წლის ვადით. აღნიშნულ სიახლესა და მის მნიშვნელობაზე თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ინტერვიუში (გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 19 აპრილი, 2024) ვკითხულობთ: „თბილისის სახელმწიფო უნივვერსიტეტში აკადემიური პერსონალის ზრდა კომპლექსურად რამდენიმე მნიშვნელოვან შედეგამდე მიგვიყვანს: თსუ-ს, როგორც აკადემიური დაწესებულების, მდგრადი განვითარების კონტექსტში, გაიზრდება აკადემიური პერსონალის წილი საგანმანათლებო პროცესში (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად). აღნიშნული პოლიტიკით ასისტენტის პოზიციის დაკავება შეეძლებათ დოქტორანტებს, რომლებიც ამ ეტაპზე, მათ შორის მოწვეული პერსონალის სტატუსით საქმიანობენ თსუ-ში და მათი რაოდენობა 350-მდე აღწევს. ჩვენი მიზანია ამ კადრების შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათთვის უწყვეტი კარიერული ზრდის უზრუნველყოფა. ცხადია, რომ ეს პროცესი არ

შემოიფარგლება მხოლოდ ასისტენტის აკადემიური პოზიციის დამატებით და მომავალში აუცილებლად დადგება სხვა აკადემიური პოზიციების დამატების საკითხიც(ასისტენტ-პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, პროფესორი).

გრძელვადიანი პერსპექტივა იმედის მომცემია, მაგრამ მიმაჩნია, რომ დღესდღეობითაც მწვავედ დგას სხვა აკადემიური პოზიციების დამატების აუცილებლობა, რადგან საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში მაღალი (იმპაქტ-ფაქტორის მქონე) ხარისხის კვლევითი პროდუქციის შემქმნელი აკადემიური პერსონალი, რომლის წვლილი არსებითად აისახება არაერთ სარეიტინგო სისტემაში ჩვენი უნივერსიტეტის პოზიციონირებაზე, არ დარჩეს დაუმსახურებელ ჩრდილში პენსიაზე გასვლამდე (ფუნდამენტური აქსიომაა, რომ დროს ვერ მოერევა ვერავინ!)

5. უნივერსიტეტში აფილირებული აკადემიური პერსონალის ზრდა.

6. ფაკულტეტზე მომქმედი საბავშვო უნივერსიტეტის სამიზნე ჯგუფების გაფართოება.

7. აკადემიური პერსონალის არსებული წახალისების უფრო დახვეწილი მექანიზმის შექმნა. კერძოდ, ამჟამად ფაკულტეტზე მოქმედებს სქემა, რომელიც ითვალისწინებს ანაზღაურების გაცემას წლის განმავლობაში თითო იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაციისათვის. მიზანშეწონილია ამ მოდელის უფრო მეტად დიფერენცირება და დაფინანსების მნიშვნელოვანი გაზრდა ფალკულტეტის ბიუჯეტის დანარჩენი მუხლების ეკონომიის ხარჯზე.

8. სტუდენტის განათლებისა და ახალგაზრდა მკვლევარების კვალიფიკაციის ამაღლება გაცვლითი პროგრამების უფრო მეტად წახალისებით. აგრეთვე, უნივერსიტეტის პროფესურის მიერ პირადი კონტაქტების საფუძველზე შექმნილი პროექტების რეალიზაცია და ახლი პროექტების შექმნა. მაგალითად,

ა) ჩემი ინიციატივით და ჩემი ქართველი და უცხოელი კოლეგების მხარდაჭერით უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მესამედ ტარდება რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის FR-21-4713 გრანტის ირგვლივ საქართველოში საერთაშორისო ვორქშოპი, რომელშიც ჩართულია სტივენსის ტექნოლოგიების ინსტიტუტის (ნიუ-იორკი, აშშ), ნიუ-იორკის უნივერსიტეტის (აშშ) და ბარილანის უნივერსიტეტის (ისრაელი) წამყვანი პროფესორები. (პროგრამები განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე).

ბ) საქართელოში 2025 წლის 26-30 აგვისტოს ტარდება საერთაშორისო კონფერენცია GAGTA 2025; ვარ საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტის წევრი. (https://sites.google.com/view/gagta).

გ) ამერიკის საელჩოს ინიციატივით ამერიკაში იმყოფებოდა საქართველოს დელეგაცია რომლის მიზანია ამერიკის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავება. ამ მხრივ საინტერესო წინადადებები შემოგვთავაზა სტივენსის ინსტიტუტმა და იგეგმება ამ ინსტიტუტთან თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება.

9. საფაკულტეტო კონფერენციაზე მოხსენების გაკეთება სტუდენტებისათვის და მაგისტრანტებისათვის სტიპენდიის დანიშვნის ერთ-ერთი პირველი კომპონენტი უნდა იყოს.

10. არსებული სამაგისტრო და სადოქტორო გაცვლითი პროგპროგრამების გააქტიურება, აკადემიური პერსონალის, მაგისტრანტების და სტუდენტების მეტი ჩართულობა და მონაწილეობა მათ დაგეგმვაში. ახალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შექმნა.

11. უნივერსიტეტში ერთიანი სახელფასო ტარიფების მიღწევა.

12. საჭიროების შემთხვევაში შემუშავებული იქნება მიდგომები დეპარტამენტებისათვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებისა და ფუნქციების გაზრდისათვის. ფაკულტეტზე არსებული ლაბორატორიების არსებითი ხელშეწყობა(თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა, ლაბორანტებისათვის ხელფასის ზრდა და ა. შ.).

მადლობა: როგორც ფაკულტეტის საბჭოს წევრი მადლობას ვუხდი ფიზიკა- მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ რამაზ ხომერიკს რვაწლიანი თავდადებული მუშაობისათვის ჩვენი ფაკულტეტის საკეთილდღეოდ და ვუსურვებ მომავალში წარმატებებს მის სამეცნიერო მოღვაწეობაში.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი: **/მ. ამაღლობელი/**

24.06.2024